ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 121 თიბათვე 13, სამშაბათი — 1889 — თიბათვე 13, სამშაბათი № 121

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## სომხური გაზეთები და სომხობა მკვიდრ ქვეყანაში

ამ უკანასკნელ ხანებში სომხურ გაზეთებსა და მეტადრე სხვა გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო ოსმალოს სომხებზე და საკუთრად მუშის პროვინციისაზე. დიდი ლაპარაკი ჰქონდათ იმის გამო, რომ მუშის პროვინციაში სომხის მოსახლეობას ავიწროებენ ქურთებიო, სცარცვენ გზებზე, თვით სოფლებში უხდებიან და ცოლ-შვილს უწიოკებენო. ამაზე თვით ინგლისის პარლამენტშიაც-კი ლაპარაკი გაიმართა და სასტიკი ბრძანება მიეცა ინგლისის ელჩს სტამბოლში და ოსმალოს სომხეთში მოეკითხა ყოველივე გარემოება. ოსმალოს მთავრობამ დაარწმუნა და ინგლისის მართებლობაც მოკითხულობის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს გაზეთების ამბავი გაზვიადებული იყო. ოსმალოს მართებლობამ თავისის მხრით სასტიკი განკარგულება მოახდინა ქურთებისა და იმათის თარეშის მოთავე მუსა-ბეის დასასჯელად. ზოგიერთი ცნობა «ივერიის» მკითხველებმა დეპეშიდამაც იციან.

ამ ამბის გაზვიადება იქიდამ წამოსდგა, რომ წელს ცუდი ზამთარი იყო ოსმალოს სომხეთში, პურის ნაკლებობის გამო სომეხთა სოფლებიდამ ხალხი დაიძრა და სამუშაოდ გავიდა ფულის საშოვნელად. წავიდნენ სხვა-და-სხვა ქალაქებში, სტამბოლისაკენ და თვით სტამბოლში. ჩვენკენაც ბლომად მოვიდნენ, მარტო ტფილისში ათასამდე მუშის სოფლებიდამ იქნებიან. ამ ამბავმა, როგორც ვსთქვით, აალაპარაკა გაზეთები, თუმცა ამ გვარი შემთხვევა პირველი არ არის, ხშირია, თითქმის მუდამ გაზაფხულზე. ტფილისი ივსება ესრედ წოდებულ კროებით, რომელნიც შემოდგომამდის მუშაობენ, ფულს შოულობენ და შემოდგომას ცოლ-შვილში ბრუნდებიან. თუმცა 12 დღე სავალელი აქვთ მუშის ქალაქიდამ ტფილისამდე, მაინც ეს მანძილი იმდენად ძნელად არ მიაჩნიათ, რომ ბევრი მათგანი თითქმის მუდამ წელს არ წავიდ-წამოვიდნენ.

სამუშაოდ გასვლა მხვნელ-მთესველ ხალხისა ყოველ ქვეყანაში სამწუხარო საქმეა. მხვნელ-მთესველი ყველგან ისეა შეკავშირებული თავის მამა-პაპის მიწა-წყალთან, რომ მეტად შევიწროებულ გარემოებას შეუძლიან თავი დაანებებინოს გუთანსა და სხვაგან გადახვეწოს სარჩოს საძებრად. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში სომხურმა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სომეხ ხალხის გადასახლებას შუაგულ ოსმალოს სომხეთიდამ. წარსულ წლებში «ივერიაში» წავიკითხეთ რამდენიმე წერილი სომხურ გაზეთებისა და, რასაკვირველია, სრულის ჩვენის თანაგრძნობის ღირსია იმათი მწუხარება.

ყოველი ხალხი, ერთის ტომისა, ერთის ჩამომავლობისა, ერთის სისხლისა, დიდ ოჯახსა ჰგავს, რომელსაც დასახლებულია მამა-პაპის ისტორიულ თავის მკვიდრ ქვეყანაში. ძველის სომხეთის მიწა-წყალი ამ ჟამად ორ სახელმწიფოს უჭირავს—რუსეთსა (ერევნისა და ყარსის გუბერნია და ნაწილი განჯისა) და ოსმალოს (დიდი სომხეთი). სომხობის გასვლა ამ ადგილებიდამ, მოდება მთელს მცირე აზიაში, ევროპაში და ამ ბოლოს ხანებში ამერიკაში დიდის ოჯახის დაშლაა. როდესაც ხალხი გადის თავის მკვიდრ ქვეყნიდამ, მისი დაცვა და შენახვა მრავალ საუკუნეს განმავლობაში ძნელი საქმეა, რაც უნდა დიდი, საკვირველი მხნეობა გამოიჩინოს ხალხმა, რაც უნდა დიდი მსხვერპლი მოიტანოს ეროვნების სიყვარულმა და რაც უნდა გარემოება ხელს უმართავდეს. როგორცა ჩანს, სომხურ ჟურნალ-გაზეთობას ეს ესმის, ესმის რა დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრ მიწა-წყალსა ერის ცხოვრებისათვის.

ამის გამო სომხური ჟურნალ-გაზეთობა ამ უკანასკნელს ხანებში თანდათან მომატებულის მხნეობით სომხებს ურჩევს, რომ მამა-პაპის მკვიდრს მიწა-წყალს თავს ნუ ანებებს, ნუ გადის უცხოობაში და თავს ნუ იღუპავსო. ამ დღეებში „ნორ-დარმა“ (ივნისის 6) განიმეორა მოხსენებული აზრი და ვაჭარ ხალხს ურჩევს: დაჯექით თქვენს ბინაზე, ნუ იქსაქსებით, ცოლ-შვილს შინა ჰყრით და იგარგებით,„სანამ სარჩოს არა ჰპოულობთ და სიბერის დროს ბრუნდებითო. თუმცა ამ გვარ გამოთქმულ აზრებში არეულ-დარეულობაა, რადგანაც დროებით გასვლა, მეგუთნეა, თუ მედუქნე, გადასახლებას არა ნიშნავს, მაგრამ საფუძველი მაინც იმ დედა-აზრშია, რომ გარეთ გასვლით უფრო ბევრსა ჰკარგავთ ნივთიერადაცა და სულიერადაც, ვიდრე რასმე შოულობთო.

პატივსაცემი და თანაგრძნობის ღირსია, რომ სომხური ჟურნალ-გაზეთობა ეწინააღმდეგება უცხოობაში გადასახლებასა და მკვიდრის ქვეყნის თავის დანებებას. მაგრამ, ჩვენის აზრით, სომხურ გაზეთების განზრახვა უფრო თავის საგანს ღონივრად და მტკიცედ აასრულებდა, რომ სხვაფრივად შეჰხებოდა საქმეს და უფრო ღრმად დაჰკვირვებოდა.

მწერლობას უნდა ხმა ამოეღო, რომ გასული და გადასახლებული სომხობა თავის მიწა-წყალზე უნდა დაბრუნდეს, დამკვიდრდეს და არ იფანტებოდეს ევროპაში, აზიაში და ამერიკაში. თორემ რას იტყვიან ის მუშები, რომელნიც ორიოდე თვით სამუშაოზე გადიან ორიოდე თუმნის საშოვრად? არ იტყვიან: „თქვე დალოცვილო მწერლებო, თქვენ თბილად მდიდარ ქალაქებში დამჯდარხართ ვენეციაში, ვენაში, მანჩესტერში, სტამბოლში, ტფილისში, უცხოობაში ბძანდებით და ჩვენ-კი გვეუბნებით, ადგილიდამ არ დაიძრათო. თუ აგრეა, მოდით, ჩვენში დაბინავდით, ჭკუა გვასწავლეთ, გზა გვაჩვენეთ, რომ გაჭირებაში სარჩო - საბადებელი ჩვენს მიწა - წყალშივე ვიპოვოთ“. ამ დღეებში «მშაკი» რამდენჯერმე გაწყრა სომხურ გაზეთებზე. რა დაგმართებიათ, სულ ან ბისმარკზე და ბულანჟეზე ლაპარაკობთო, ან დიაკვნებზე, საყდრებზე, სკოლებზე, ან ორიოდე საქველ-მოქმედო საზოგადოებაზეო. რატომ მეურნეობაზე, მხვნელ-მთესველ გლეხობის ყოფა-ცხოვრებაზე, ეკონომიურ მდგომარეობაზე არას იტყვითო (ნახე „მშაკი“ ივნისის 10). უცილობელი ჭეშმარიტებაა ხომ, მაგრამ ვინ ლაპარაკობს გაზეთებში, ინტელიგენცია განა? სადა ცხოვრობს სომეხთა ინტელიგენცია? სომხობის მკვიდრ მიწა-წყალს გარეთ. განა შეუძლიან თვალი და გონება დააკვირვოს მკვიდრ მიწა - წყალზე მცხოვრებელ სომეხთა ყოფა-ცხოვრებას, როდესაც ინტელიგენცია დაშორებულია იმას და დაბინავებულია უცხოობაში, უცხო ინტერესებში, რომელთანაც მხოლოდ ადგილობის პირობა აკავშირებს ადგილობრივ მცხოვრებელთან და სხვა არაფერი?

სომხურ ჟურნალ-გაზეთობას ამ გვარის ღაღადებით არ შეუძლიან საქმე წინ წასწიოს. მისი საქმეა სომხობის ინტელიგენციას უქადაგოს, რომ იგი უნდა ცხოვრობდეს თვით მკვიდრს მიწა-წყალზე; გარეთ-კი არ უნდა გარბოდეს, შინ უნდა დაბრუნდეს, შინ, სომეხთა მიწა-წყალზე, მეგუთნე სოფლელს მოუდგეს და აჩვენოს თავისი საქმე, აუხსნას სიღარიბის მიზეზი, სულიერ და ხორციელ საჭიროების მდგომარეობა გამოიკვლიოს და გზა აჩვენოს გაჭირებაში, სიღარიბეში თავს როგორ უშველოს. აი, ინტელიგენცია სწორედ მაშინ იქნება მცოდნე და მემწე სომხობისა. თუ არა-და, სტამბოლში მეტი რა შეუძლიან, თუ არ ბისმარკზე, დიაკვნებზე და სკოლაზე ლაპარაკი.

მკვიდრ მიწა - წყლიდამ უცხო ხალხებში გასულ და გადასახლებულ სომხობის შინ დაბრუნება ისტორიული ასასრულებელი საგანი შეიქმნა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა განსვენებულმა ალექსანდრე II ინება ოსმალოსთან მორიგების დროს ბერლინის პირ-შეკრულობაში ცალკე მუხლით სომეხთა მფარველობა და მშვიდობა განესაზღვრა. მას შემდეგ მთელს ქვეყანაზე გაფანტულ სომეხთა თვალი მიქცეულია იმ მხრისაკენ, საცა დედაა დღევანდლამდე დაბინავებული. ისტორიულს სიტყვას მარტო ის აზრი არა აქვს სომხობისათვის, რომ დედა მხოლოდ მშვიდობითა და კარგად ცხოვრობდეს და შვილები მორიდამ უყურებდნენ, არ ესმოდეთ იმისი სიტყვა, არ უყოფდნენ გვერდით ცხოვრებაში ჭირსა და ლხინსა, არ ეალერსებოდნენ იმისს დედობას, არ გათბებოდნენ იმისს კალთაში და არ გაათბობდნენ თავის დედა-შვილურს ხვევნაში. არა, სომხურ ჟურნალ-გაზეთობას უნდა ესმოდეს ახალს ისტორიულს სიტყვაში დედისაგან შვილების მოწოდება: „მოგროვდით, სომხებო, დედასთან, სამკვიდრო მიწა წყალში“. დიდებული სიტყვებია! ღონე რომ იყოს, ცაში მზეს მოვწყვეტდი სხივებსა და თითო ასოს ამ სიტყვისას იმ სხივებით შევმოსავდი, რომ ყველას დაენახა; წავართმევდი ბუნებას ყოველ„ხმაზე უტკბესს, დედათა ხმას, რომ თითოეული ასო გამეხმაურებინა ქვეყნით ქვეყნამდის.

სომხურ ჟურნალ-გაზეთობა მიხვედრილი უნდა იყოს, რომ, ოსმალოს სომხეთია, თუ სხვა, ხალხი არ დაიშლის გასვლას და გადასახლებას, სანამ იგი არ უქადაგებს განათლებულ სომეხთა და ვაჭარ მრეწველთა, რომ ისევ თავის მკვიდრ მიწა-წყალში დაბრუნდნენ. გასვლა და გადასახლება სომხობისა მაშინ შეჩერდება, როდესაც მკვიდრი მცხოვრებელი სომხობა ჰნახავს, რომ გარეთ გასულნი და გადასახლებულნი უკანა ბრუნდებიან თავის ერსა და თავის ქვეყანაში, თავის გუთანთან, თავის შინაობაში ჭირისა და ლხინის ერთად გასაყოფლად. მწერლობასაც, ეროვნობასაც მაშინ ექნება მკვიდრი ნიადაგი საერო კეთილდღეობის მოახლოვებისათვის.

პ.

## ახალი ამბავი

*** წმ. ნინოს სასწავლებელში წელს ექვსმა ქართველმა ქალმა გაათავა კურსი: მარიამ ჯავახიშვილმა, ეკატერინე ჯომარჯიძემ, დარია მგალობლიშვილმა, ბარბარე თუმანიშვილმა, ხირსელმა და ბარბარე ერისთავმა. ამათში ერთმა, სახელდობრ დარია მგალობლიშვილმა, მიიღო ოქროს ჯვარი.

*** ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში წელს თოთხმეტმა ყმაწვილმა კაცმა გაათავა კურსი: იმათში მხოლოდ ერთი ქართველი ერია, სახელდობრ გვაზავა. გვაზავამ ოქროს მენდალი მიიღო.

*** ამ დღეებში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ვარიანტი „სიბრძნე სიცრუისა“. ეს ვარიანტი წინად ნაპოვნს ვარიანტებზე (დაფქეიაშვილისა და მელიტაურისაზე) უფრო ძველია. როგორც წარწერიდგან სჩანს, რომელიც წიგნის ბოლოშია მოქცეული, იგი გადაწერილია ქ-ს ჩლოთ (1779 წელს) კალოუბნის მღვდელ იოანეს მიერ. ეს ვარიანტი მოქცეულია ძველს წიგნში, რომელსაც ჰქვიან „ცხოვრება წმიდათა მამათა“ (სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკისა) და შიგ შუა წიგნშია ჩაკეთებული. ჩვენ გაკვრით შევადარეთ ეს ვარიანტი დაფქეიაშვილისას და დავრწმუნდით, რომ ამათ შორის შესამჩნევი განსხვავებაა ენის მხრივ

*** კვირას, 11 ივნისს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებლით დაბრუნდა ქალაქში მთავარ-მართებელი კავკასიისა, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც მეორე დღეს, დილის რვა საათზე, კოჯორში წაბრძანდა. მისი ბრწყინვალება, როგორც ისმის, ამ თვის 20 აპირებს თერგის ხეობისაკენ წასვლას.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში 28 ამ ივნისს დაიწყება შეგირდების გამოცდა.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ თავმჯდომარე გუბერნიის ციხე-საპატიმროთა სამზრუნველოს დედათა განყოფილების კომიტეტისა ე. გონჩაროვისა დიდს მადლობას სწირავს ყველას, ვინც დაეხმარა 4 ივნისს სეირნობისა და ლატარიის გამართვის საქმეს ციმბირში გაგზავნილთა შვილთა თავ-შესაფარის სასარგებლოდ, და აცხადებს საყოველთაოდ, რომ ლატარიიდამ შემოვიდა სულ 2717 მან., ხოლო აქედამ დაიხარჯა: მოსაგების ნივთებისათვის 261 მან. 78 კაპ., მუშტაიდის გასანათებლად 60 მ., ბალის მოსართავად 69 მ. 76 კაპ., ჯარის-კაცთათვის 45 მან., მომღერალთ 19 მ., ორს დასტას მემუსიკეებისას 60 მან., მეზურნეებს—14 მ., პოლიციელებს 50 მან., წვრილი ხარჯი 59 მ. 70 კაპ., შუშხუნები—50 მან., ციხე-საპატიმროთა დარაჯებს — 15 მან., სულ ხარჯი იყო 704 მან. 24 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 2012 მან. 76 კაპ., გარდა იმ ნივთებისა, რომელიც დარჩა და შემდეგს ლატარიაში იქნება გამოყენებული.

*** ჩვენ გვწერენ დუშეთიდამ, რომ იქ გაუმართავთ 4 თიბათვეს სეირნობა და ლატარია-ალეგრი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. სეირნობიდამ დარჩენილა, ხარჯს გარდა, ოც-და-ათ თუმნამდე წმინდა შემოსავალი. მეორე დღეს იმავე სკოლის სასარგებლოდ გამართული ყოფილა საცეკვაო საღამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** **ფრონის ხეობა:** წვიმები ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ჩვენსკენ. ურწყავებში პირნახული შუათანა მოვა, სარწყავებში-კი წაახდინა. ზოგს სოფლებში ხეხილს არაფერი მოაქვს, ზოგან ვაზს თხლად ასხია. ზოგს სოფელში საოფლე იდგა, თუმცა ზარალი დიდი არა ჰქონდა. ზოგან ყვავილია გავრცელებული თუმცა ყვავილს ზარალი არა მოაქვს-რა.

*** **დუშეთი:** თიბათვის რვას, საღამოს, მოვიდა ძალიან დიდი, შხაპუნა წვიმა და ძალიან დიდი ნიაღვრები დადგა. ნიაღვრის წყალი ბევრს მცხოვრებელს შეუვარდა სადგურებში და ბევრი ზარალიც მისცა. ღამის 12 საათზე ყველგან დიდი ვაი-ვაგლახი ისმოდა. ნიაღვრისაგან დაწიოკებული ხალხი იმას-ღა სცდილობდა, რომ წყალის მსხვერპლი არ გამხდარიყო. თუმცა ამ ნიაღვრებმა ადამიანი არ იმსხვერპლა, მაგრამ ბევრი ნივთი და ავეჯი, ლობეები, ყანები და სათივე ადგილები-კი სამუდამოდ შეიწირა და პატრონს ხელი აალებინა და ცარიელზედ დასტოვა. დუშეთის ახლომახლო სოფლებშიაც ბევრი ზარალი მიუცია ყანებისათვის ამ ნიაღვრებს და ბევრგან გზებიც წაუხდენია.

*** **მოსკოვი:** ბ-ნმა მიხეილ ზაალის ძემ ყიფიანმა მოსკოვში მოსწავლე ქართველთა ბიბლიოთეკას გამოუგზავნა მის მიერ შედგენილი წიგნები ქართულს ენაზედ: „არითმეტიკა“ და „გეომეტრია“.

მოსკოველი მოსწავლე ქართველები გულითადს მადლობას უძღვნიან პატივცემულს ავტორს ზემოხსენებულის წიგნების შემოწირვისათვის.

*** **წინამძღვარი** (სიღნაღის მაზრაში): კეთილად ვერ მოვიხსენიებთ წარსულს ზამთარს და ამ გაზაფხულს. ჯერ იყო-და ზამთარში საშინელმა თოვლმა და ყინვამ შეარყია წინამხრის მკვიდრთა ეკონომიური მდგომარეობა: ცხვარი გაანახევრა, მსხვილი საქონელიც მრავლად იმხვერპლა, ხეხილი ან დააძრო და გადაახმო, ვაზიც ბევრგან ან გადაახმო და ან მეტად დააგვიანა; ხნულები დაუფარცხავი დაუგდო მხვნელ-მთესველებს და შემოდგომით და თებერვლის მიწურულებში დაათარცხვინა; ვენახები შეუმუშავებელი დააგდო და მუშა-კაცის მარჯვენას თებერვლის გასულსავე დღეში ორი აბაზი გაუკვეთა; გაზაფხულის მოსავალი ნაკლებ ახვენევინა გლეხ-კაცს და სამის თთვის განმავლობაში სახლში ამყოფა და ჭორიკანების კურსი მოასმენინა. ეს ამდენი ბალა დაგვატეხა თავს წარსულმა ზამთარმა. „ძეძვი ძეძვს მოედებაო“ იმისი არ იყოს, ზამთარსაც შესაფერი გაზაფხული მოჰყვა. ნათქვამია: „ლელვმა რომ ფოთოლი გამოიტანოს, იცოდეთ, გაზაფხული კარს მომდგარაო“. ბატონო, ეხლა თიბათვის შვიდი დღეა გასული და ლელვი ჯერ რიგიანად არ არის გაშლილი: ზოგმა ამ დღეებში გამოიტანა ფოთოლი, ზოგიც მალე გამოიტანს! იმავე თავით მარტმა თავის გიჟური ამინდები დააყოლა, აპრილ-მაისს სიცივე, წვიმები და ნიაღვრები მოჰყვა. ამის გამო ვენახები და ყორულები ჯერაც გასათიბია; ყანები აჩალავა და მიწაზე დაუშვა; ხევები ასტეხა და კამბეჩებიც დაირჩო, ლობეებიც ბევრი მოგლიჯა, ქვის ბოგირები მიანგრია და გზები მეტად დაასახიჩრა; კლდეები მოაზვავა და საითაც გაიხედავთ, ხალხი ბოგირებისა და გზების კეთებას ვერ ასცდია. ზედ კალია მოგვესია მაისის ნახევარში, რომლის გაწყვეტამ ათი ათასს მუშაზე მეტი მოინდომა. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს ერთად-ერთს ღონიერს წყაროს დღიურ ცხოვრებისას—ვენახებს ნაცარი შეაჩნდა ეხლავე და მილდიუც აეკვატა. მკვიდრნი ამისათვის დაფიქრებულ-შეძრწუნებულნი არიან. ან-კი როგორ არ შეძრწუნდნენ, წლის ნამუშავარი, ნახნავ-ნათესი, ნაბარ-ნათოხი და ვენახების მოსავალი ლამის ხელიდგან გამოგვეცალოს!

*** **„არძაგანკში“ სწერენ:** სტამბოლის სომეხთა პატრიარქის განკარგულებით ამ დღეებში მიემგზავრება სტამბოლიდამ ამერიკაში ბერი იოსებ სარაჭიანი, როგორც მქადაგებელი და მღვდელ-მოქმედების ამსრულებელი ამერიკაში გადასახლებულ სომხობისათვის. იმას მიაქვს თან საეკკლესიო ნივთები და შესამოსები. სასურველიაო, ამბობს არძაგანკი: რომ პატივცემულმა მამამ უქადაგოს გადასახლებულთ, არ დასტოვონ თავიანთი დედა ქვეყანა და არ დაბინავდნენ ამერიკაში, და თუ ღონისძიებაა, დაეხმაროს სამშობლოში დაბრუნებისათვისაო.

◆◆

## ეგზარხოსი სამთავისში

გუშინ, ამ თთვის 9, დილის თორმეტ საათზედ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსი პალადი მობრძანდა სამთავისში. სამთავისის დიდებულის ტაძრის წინ მას დახვდნენ მრავალნი წარჩინებულნი წარმომადგენელნი ჩვენის ქვეყნისა, აქეთის მხრის თავადაზნაურობა თავიანთ წინამძღოლით და დიდ-ძალი გლეხ-კაცობა—ქალი თუ კაცი. ტაძრის წინ ორმოცამდე ლამაზთიანად ჩაცმულ-დახურული თავად-აზნაური იდგა რიგზედ როდესაც მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალადი მიუახლოვდა ამ კრებას, იმას წინ გამოეგება წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურობისა, ბ-ნი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, და პატივისცემით მიესალმა ღირსეულს სტუმარს. მან მოახსენა: მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! გულითადის პატივისცემით მოგესალმებით როგორაც გორის მაზრის თავად-აზნაურთა სახელით, აგრეთვე კერძოდ ჩემის მხრივ. ამ დიდებულის ტაძრის, ამ ჩვენ ძველ ნეტარ-ხსენებულ წინაპართა მოღვაწეობის წმინდა ძეგლის წინაშე შევსთხოვ ყოვლად-სახიერს, რათა მან მრავალ-ჟამიერ განაგრძოს დღენნი თქვენნი, რომელნიც ასე ძვირფასი და სასარგებლოა როგორრათაც ივერიის წმიდა ეკკლესიისათვის, აგრეთვე მთელის საქართველოს ერისათვის. თქვენმა მადლით სავსე ლოცვა-კურთხევამ შვება მოჰფინა ყოველის ქართველის გულს!.. აკურთხოს უფალმა თქვენი სახელი, თქვენი გზა და კვალი!..

მაღალმა სტუმარმა გრძნობით დალოცა თავად-აზნაურობა და შებრძანდა დიდებულს ტაძარში, სადაც გადაიხადა მცირე პარაკლისი. შემდეგ გულ-მოდგინებით დაათვალიერა ყოველივე, რაც-კი ძველს დროებას მოაგონებდა კაცსა და ბრძანა განახლება ამ წარსულ დროების საყურადღებო ნაშთისა. აქედამ მაღალ ყოვლად სამღვდელო მეუფე წაბძანდა ქალას და საკრიბთოლოს, სადაც აგრეთვე პარაკლისი გადაიხადა და დაათვალიერა ძველის დროიდგან დარჩენილი საეკკლესიო ნივთები. სადილი ინება გენერალ ი. გ. ამილახვართან და საღამო ჟამზედ წამობრძანდა ტფილისისაკენ.

◆◆

## გაყმაწვილება მოხუცებულისა

საფრანგეთის ფიზიოლოგოსს ბროუნ-სეკარს აღმოუჩენია ერთი ახალი რამ, რომელიც გაცილებით აღემატება არამც თუ მარტო პასტერის ცოფის აცრას, არამედ ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის პოვნასაც-კი. რა არის ამერიკის აღმოჩენა? ამერიკას ყოველთვის აღმოაჩენდნენ და კოლუმბის დროს-კი, მართალი რომ სთქვას ადამიანმა, სრულიად არ იყო საჭირო იმისი აღმოჩენა. პასტერის ცოფის წამალი იქნება ძალიან საჭირო იყოს, მაგრამ მილიონობით სცოცხლობს და კვდება ადამიანიშვილი ისე, რომ ცოფიანი ძაღლიც-კი არ უნახავს თვალით. ამასობაში არის ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელიც ყოველს კაცს ეწვევა ხოლმე, რა წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს და რა სიმდიდრის პატრონიც უნდა იყოს, თუნდ გენიოსად დაბადებულიყოს.

ეს სამწუხარო მოვლენა—სიბერეა, მოხუცებულობა, მხცოვანება.

დიაღ, როცა სხვები კოხის მძიმეს გამოწვრილვას ჩაუჯდნენ და ელექტორის ლამპარის გაკეთებაზედ იმტვრევდნენ თავს, ბროუნ-სეკარი სწორედ იმას იკვლევდა და იძიებდა, რაც ყველაზედ საჭირო იყო—სიბერის წამალს.

და აგერ პარიჟის საბიოლოგო საზოგადოების უკანასკნელ კრებაზედ წინ წამოდგარა თვით პრეზიდენტი ამ საზოგადოებისა, ბროუნ-სეკარი. ყველამ იცის, რომ განთქმული მეცნიერი დიდი ხანია დაბაბუნებულ-დაუძლურებულია სამოც-და-სამის წლის მეცნიე-

---

# ფელეტონი

## ღვთის შვილი

(შემდეგი *)

### V

აგრაფენა მაღალი, გამხმარი, შესაზარის შეხედულობის დედაკაცი იყო. სახეზე ეტყობოდა, რომ მეტი თავმოყვარე და ხეპრე ხასიათის ადამიანი უნდა ყოფილიყო. ბავშვები სულ არ უყვარდა მოხუცს და თუ აიყვანა კოტე, მხოლოდ ფულის გულისათვის. თავის ნაცნობებთან-კი თავს იკატუნებდა, მარტოობა მომბეზრდაო... ესეც რომ არ იყოს, ობოლი, ღვთის შვილია მადლიც-კია ამისი შეფარებაო...

საწყალი კოტე! დიდხანს ვერ შეეჩვია ახალ სახლ-კარს, ვერ შეეჩვია ახალ ბებიას! ან როგორ უნდა შესჩვეოდა? ბავშვს ჯერ რიგიანად თვალები არც-კი აეხილებინა და აგერ მესამედ უცვალეს ბინა... კოტე მაინც დაემორჩილა თავის ხვედრს... აგრაფენას გამოფხეკილ ქოხშიაც იპოვა საკუთარი მყუდრო ალაგი. ბუხრის კუთხეში მოიკალათა ბავშვმა. აქ იძინებდა, აქ საზრდოობდა, აქვე შემოაგროვა თავისი სათამაშოები... პირველად მარტოობით ერთობოდა ბავშვი, მაგრამ მარტოობა მალე მოსწყინდა და კრძალვით შორი-ახლოდგან დაუწყო ალერსი და თამაში ახალს ბებიას. კერპი ბებერი ბავშვების ლოლიაობას არ იყო დაჩვეული და პირველსავე ბავშვის მიახლოვებას მეტად მხეცურად მოექცა.

— შენთვის არა მცხელა, დამეკარგე აქედამ, შეუტია ბებერმა ბავშვს. კოტემ კარგა ხანს ინაღვლა და იდარდა... მხოლოდ ეხლა იგრძნო თავის ობოლ ოხერ-ტიალობა. გულ-ჩათუთქული ბავშვი რამდენიმე დღე თავის კუნჭულს არ გამოსცილებია. ვინ იცის ამ გვარ ყოფას რა შედეგი მოჰყვებოდა, რომ ბედზე ბავშვს მეგობარი არ ეშოვნა. აგრაფენას კარის მეზობლად სცხოვრობდა დაბის სამართველოში მოსამსახურე ივანე... უდროოდ დაობლებული ივანე კარგა ხანი იყო, რაც ესე განმარტოებით სცხოვრობდა. იგი მეტის-მეტად ერთგული და ყოვლად პატიოსანი მოსამსახურე იყო სამართველოს მსახურთა შორის. უცოდველი-კი არა ვარ, მაგრამ სხვისი არა მიმითვისებია-რაო, იმეორებდა ხშირად ივანე. შემთხვევა ბევრჯელ მქონია, მაგრამ წყალ-პურზე გადავლა ამირჩევია ქრთამის აღებას. იმისი უანგარობა ყველა იმისმა ამხანაგებმა კარგად იცოდნენ და ხშირად ქრთამის აღებაზე დაუწყებდნენ ხოლმე ხუმრობას. ერთხელ, როცა გართული იყო საქმეში, უფროსი გამოელაპარაკა:

— ივანე, სწორედა სთქვი, 300 მან. სამადლობელოს არ აიღებ?

— რას დამცინით, ბატონო!

— 500 მანეთს?

ივანე აიტკიცა.

— არც 500 მან. ავიღებ?

— მაშ ათასი გინდა, არა? ათას მანეთს-კი აიღებ!!

აქ-კი ვეღარ მოითმინა ივანემ და გაბრაზებული გამოვარდა ოთახიდამ გარეთ. ამ გვარი ერთგული და უანგარო მოსამსახურე შორს ვერ წავა და ივანეც ხომ 15 წელიწადი იყო, რაც სამართველოში მწერლად მსახურობდა, და წარმატება-კი არ ეღირსა და არა. მხოლოდ-კი ერთხელ დაიმსახურა უფროსის მადლობა. ეს დღე ახსოვს ივანეს. გუბერნატორმა დაათვალიერა სამართველო, სადაც ივანე მსახურობდა, და თავის უბის წიგნში მოიხსენია: «მთელ № დაბის სამართველოში მხოლოდ ერთი მოხელეა, სახელდობრ ივანე, პატიოსანი კაცი“... ეს დღე კალენდარში დანიშნა გუბერნატორმა და გვერდით მოუწერა: „უბედნიერესი დღეა ჩემს სიცოცხლეში“. ახალგაზრდობაში ივანეს ორი განზრახვა ჰქონდა: უნივერსიტეტში შესვლა და სიყვარულით ცოლის შერთვა. ორივე განზრახვა ვერ შეუსრულდა—პირველი შეუძლებლობის გამო ჩაეშალა და მეორე-კი თავის მორცხვობა-უგერგილობამ ჩაუფუჩეჩა. ორივე მიზნიდამ დაცარული ივანე დღეს თავისათვის განმარტოებით ნიხრ-შეუცვლელად სცხოვრობს.

### VI

ნაშუადღევის სამს საათზე ივანე თავ-ჩაღუნული მოდიოდა სამსახურიდამ სახლში. ეზოში შენიშნა ბალახებში მოთამაშე კოტე. ოჰო! რა მშვენიერი ბავშვია, წამოიძახა ივანემ, შენიშნა თუ არა ბავშვი, და დაეწოდა მოსაალერსებლად. ბავშვმა შეჰხედა ივანეს და თითქო წინადვე შეიტყო იმისი მოსიყვარულე გულკეთილობაო, სიხარულით მოეხვია ყელზე ივანეს. ივანემ აიყვანა ხელში ბავშვი და დაუწყო ალერსი: გინდა ჩემთან წაგიყვანო? ჰკითხა ივანემ ბავშვს. მინდაო! უპასუხა ბავშვმა. ივანემ ხელში აყვანილი წაიყვანა ბავშვი სახლში.

სტუმარ-მასპინძელმა მეტად მხიარულად ისადილეს... ამ დღიდგან დაიწყო ამათი მეგობრობა. ყოველ დღე ბავშვი მოუთმენლად ელოდდა ივანეს შინ დაბრუნებას და რა-კი მოახლოვდებოდა ხოლმე ივანეს მოსვლის დრო, ბავშვი ეზოს კარებში დაუწყებდა ლოდინს. ივანე სიცილით მიესალმებოდა ბავშვს და წაიყვანდა ხოლმე თავისთან. დღითი-დღე ახალ მეგობართა შორის გაძლიერდა სიყვარული და ბოლოს ხომ ბავშვი სულ მთლად გადმოსახლდა ივანესთან. ბევრ აგრაფენას უხაროდა, რომ ბავშვი მოჰშორდა, აღარ აწუხებდა და თანაც სხვის ხარჯით იკვებებოდა. ბავშვმა ახალ მეგობრის სახლშიაც დაისაკუთრა ერთი კუთხე. აქ გადმოზიდა აგრაფენას სახლიდამ ყოველივე თავისი საკუთრება. როცა ივანე მუშაობდა, ბავშვი განმარტოებით კუთხეში ჩხირ კედელაობდა, ერთობოდა. მორჩებოდა საქმეს თუ არა, ივანე დაუძახებდა ბავშვს, ჩაისვამდა კალთაში სიცილ-[illegible]იამოვნებით და დაუწყებდა საუბარს პატარა მეგობარს. წინად თუ საქმის დროს მოკრძალებით იყო ამ ბიძასთან, ახლა უფრო წათამამდა და ეტიტინებოდა, ეხუმრებოდა ბიძას.

— უყურე, ძია, რა კარგი ქოხი ავაშენე?

— ააშენე, ააშენე, მერე ენახავ!

— არა, ეხლა, ეხლა მოდი ნახე-და.

— მე აქედგანაც კარგად ეხედავ.

— არა, ადექი-და!

ივანე უნებლიედ ემორჩილებოდა ბავშვს... მივიდოდა და ჰხედავდა ბავშვის ნამოქმედარს და ისევ დაუბრუნდებოდა საქმეს... პირველად აგრაფენა ბავშვს ხშირად არ ანარჩუნებდა ივანესთან დასაძინებლად. ეხლა-კი მთლად მიატოვა იგი. ბავშვი მეტად გახარებული იყო, რომ ავ-გული ბებია მოჰშორდა.

— ძია, ძია! რა მშვენიერებაა აქ, შენთან, თითქო შინ, ჩემს სახლში, ვარ...

— შენი სახლია, ჩემო კარგო!

— მართლა, ჩემო ძია? ოხ, რა კარგად დავიძინებ ამაღამ!..

სწორედ რომ ბედნიერად ჰრაცხდნენ თავს ორივე მეგობრები. ივანე ხომ თავის სიცოცხლეში ასე კმაყოფილი, ასე მხიარული არას დროს არა ყოფილა. ბავშვი? ბავშვის სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. მეგობრები სრულიად ყურადღებასაც არ აქცევდნენ, რომ იმათ გვერდით კვდებოდა აგრაფენა, რომლის სიკვდილ-სიცოცხლეზე დამოკიდებული იყო იმათი ბედნიერება.

### VII

იანვრის გასულს გარდაიცვალა აგრაფენა. ივანემ მაშინვე განიზრახა შეეტყობინებინა ტერბინებისათვის იმისი სიკვდილი, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ ბავშვი მომაშორონო, და ამიტომ სიჩუმე ამჯობინა: განა მე მოვალე ვარ ვიცოდე ტერბინებისა და აგრაფენას ურთიერთობა? იმართლებდა თავს ივანე: განა მოვალე ვარ ვიცოდე, რომ ისინი კოტეს მზრუნველები არიან? მართალია, აგრაფენამ მითხრა, მაგრამ რაო მერე?

— ბავშვის მზრუნველებს შეატყობინეთ? ჰკითხა ივანეს მღვდელმა.

— მერე ვინ არიან იმისი მზრუნველები, მე რა ვიცი?

— ეგ როგორ შეიძლება, უნდა უთუოდ შეატყობინოთ.

* იხ). „ივერია“, № 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაში მუშაობის გამო და ამიტომ იშვიათად, ძალიან იშვიათად იღებს მონაწილეობას ბაასისა და კამათის დროს. ამიტომაც იმისმა წინ წამოდგომამ ყველას ყურები აცქვეტინა თურმე, ერთი ალიაქოთი ასტეხა და ისე გააოცა საზოგადოება, რომ სულ მცირე ხანს შემდეგ სრული სიჩუმე და დუმილი ჩამოვარდა.

— ბატონებო, წარმოსთქვა თურმე მშვიდისა და მაგარის ხმით ბროუნ-სეკარმა: ჩვენის დროის მეცნიერება იმდენად მაინც ფეხ-წადგმულია, რომ, ჩემის აზრით, ეხლა-კი შეგვიძლიან გაყმაწვილების საქმე ყოველ მხრით შევისწავლოთ, გამოვიკვლიოთ და ერთს რომელსამე გადაწყვეტილს აზრსაც დავადგეთ.

მსმენელთ ტაში დაჰკრეს თურმე, მაგრამ ეტყობოდათ-კი, რომ იმისი სიტყვა სრულიად არა სწამდათ და ეჭვით ისმენდნენ.

განთქმულმა მეცნიერმა ზემოხსენებულ წინასიტყვაობის შემდეგ დაიწყო და უამბო საზოგადოებას ყოველივე წვლილი თავისის ცდა-გამოკვლევისა და შენიშნულ-მოაზრებულთა.

დიდი ხანია შევნიშნე, რომ სისხლის გადასხმა, ე. ი. დაუძლურებულს ორგანიზმოში ახალგაზდას სისხლის მოქცევა სხეულს დაკარგულს ძალ-ღონეს არ უბრუნებდა. ამას გარდა სისხლის გადასხმა ძარღვებში მეტად ძნელია, ძნელია აგრეთვე შოვნა სისხლისა, სისხლი გადასხმის დროს ხშირად ხდება და ფუჭდება და სხ. და აი კიდეც ამიტომ ექიმები იშვიათად, ძალიან იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე ამ საშუალებას ადამიანის მობრუნებისასა და მოღონიერებისას აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სისხლი თავისდა თავად არაფერსა ჰშველის ადამიანს, იგი მხოლოდ ხელს უწყობს და უმართავს ახალის ელემენტების შესვლას ორგანიზმოში და ძველის, დასუსტებულ სხეულის ბადეთა გამოსვლას. სისხლს ასოებში დააქვს მკვებავი, ესე იგი სიცოცხლე, ხოლო თვით ასოები არიან მცველნი და მფარავნი სასიცოცხლო ძალ-ღონეთა. ამიტომ ადვილად შეიძლება იკითხოს ადამიანმა: არ შეიძლება, რომ მოხუცისა და ძალ-გამოცლილის კაცის ორგანიზმოს როგორმე შევმატოთ ახალგაზდა, ძლიერისა და უკეთესის ორგანიზმოს ნაწილები? თუ ეს შევიძელით, ნუ თუ დაუძლურებული სხეული არ გამოკეთდება, არ გამოღონიერდება და უფრო მეტს ძალას არ მოიცემს ქვეყნად არსებობისასა და ცხოვრებისასა?

ბროუნ-სეკარს ეს შესაძლებელად მიაჩნდა და თავისი ასეთი აზრი გამოაცხადა კიდეც ამ ოცის წლის წინად ერთს თავის მიერ პარიჟის სამკურნალო ფაკულტეტზედ წაკითხულს ლექციაში. მაშინვე ამ მხცოვანმა მეცნიერმა მიჰყო ხელი მუშაობას, იკვლევდა ამ საგანს და უბებრესს ცხოველებზე სცდიდა. დასასრულ, ამ წლის 3 მაისს შეაყენა თურმე თავისი ცდა-გამოკვლევა, დარწმუნდა, რომ თავისის აზრის აღსრულება შესაძლებელი იყო, მაგრამ მაინც ადამიანიშვილი ვერ გამოიმეტა საცდელად, ეშინოდა, ვაი თუ დაემართოს რამე და უბრალო ცოდვა დაიდო შეცდომის გამოო, და გადასწყვიტა თავის მიერ გამოკვლეული თავის თავზედვე ეცადნა.

ააცალა ზოგიერთ ასოს ნაწილი ზღვის გოჭებსა და ძაღლის ლეკვებს, ეს ნაწილები ჰავანგდასტაში დანაყა, შემდეგ დაწმენდილს წყალში შეურია და საცერში გაატარა. როცა ეს საცერში გატარებული სითხე კარგად გაასუფთავა, დაიწყო იმისი კანის ქვეშ შეშხაპუნება ისე, როგორც მორფის ასხავენ ადამიანის კან ქვეშ. თითო შეშხაპუნებაზედ ჰხმარობდა ერთს კუბიკურს სანტიმეტრს ზემოხსენებულ სითხისას. ეს იყო და ეს.

როცა ორჯელ სამჯერ იწამლა ასე, ბროუნ-სეკარმა მეორე დღესვე სულ სხვად იგრძნო თავი, ერთიან გადახალისდა და გადაუკეთესდა.

წინად თუ ლაბორატორიაში ნახევარ საათს ფეხზედ დგომა და შრომა ჰღალავდა და ჰქანცავდა, ეხლა მთელი სამი საათი ჰმუშაობდა თურმე მუხლ-ჩაუკეცლივ და მაინც არ იქანცებოდა, დასვენება მაინც არა სჭირდებოდა. მადა გაუუკეთესდა, უფრო მშვიდად ეძინა ხოლმე და ძილს შემდეგ უფრო ძალ ღონეზედ იყო, საჭმელს მშვენივრად ინელებდა, ნათელი გონება ჰქონდა და დაუღალავი იყო, კუნთები ერთი-ორად გაუმაგრდა. ამას გარდა სიჭაბუკისებურმა სურვილმა და მისწრაფებამ აუძგერა გული.

პარიჟის გაზეთი «Figaro», საიდგანაც ეს მცირე შენიშვნა მოგვყავს, დიდად სწუხს, რომ ადგილობის გამო არ ძალ-გვიძს მოვიყვანოთ დანარჩენი საინტერესო წვლილი ბ-ნის ბროუნ-სეკარის მიერ ნალაპარაკევიდგანაო. ამ საგნის შესახებ დაწვრილებული ანგარიში დაიბეჭდება საბიოლოგო საზოგადოების კრებულში, სადაც დასახელებულია ყველა ის ზღვის გოჭებისა და ძაღლის ლეკვების ორგანოთა ნაწილები, რომელიც განთქმულს მეცნიერს დაუნაყავს ჰავანგდასტაში და რომლითაც სიჭაბუკის დამბრუნებელი სითხე შეუმზადებიაო.

რამდენიც ბევრსა ჰლაპარაკობდა პატივცემული მეცნიერი, იმდენი უფრო ხალისდებოდა, ხმა ემატებოდა, წელში იმართებოდა და ჭაღარა წარბებით დაფარული თვალები უბრწყინდებოდა და უცხოველდებოდა.

მსმენელნიც უფრო და უფრო აღელდნენ თურმე, გრძნობაზედ მოვიდნენ, თვალ-წინ მდგომი ცოცხალი მაგალითი ირწმუნეს და ერთობილის ტაშის ცემით მიეგებნენ უკანასკნელს სიტყვებს ბროუნ-სეკარისას, რომელმაც გამოაცხადა, რომ ისე მოვედი ღონეზე, ისე მოვსულიერდი ამ წამლობის შემდეგ, რომ ათის წლით უჭაბუკესადა ვგრძნობ ჩემს თავსაო.

ჯერ-ჯერობით ამით თავდება ეს საოცარი ამბავი. კვლავ განაგრძო ამ წამლის ხმარება მოხუცმა მეცნიერმა, თუ არა, არავინ იცის. იქნება დრო გამოშვებით უნდოდეს იმისი ხმარება მოთმინებით უნდა აღვიჭურვნეთ და ვუცადოთ, თუ რას გვეტყვის, რას გვახარებს მეცნიერება. ხოლო მკითხველი, რაღა თქმა უნდა, ჰგრძნობს ამ ამბის დიდებულს, მსოფლიო მნიშვნელობას. სიბერე აღარ იქნება, აღარავინ დაბერდება და დაუძლურდება! განა ამაზედ უსაჭიროესი, უმნიშვნელოვანესი არის-ღა რამ ქვეყანაზედ? მარტო ის წარმოიდგინეთ, რომ ბისმარკი კვლავ გაახალგაზდავდეს. ვსთქვათ, საზღვარზედ ალიაქოთი ასტყდა რამ, ბისმარკი გამოიწერს პაწია შუშას ბროუნ-სეკარისეულის სითხისას, კან ქვეშ შეიშხაპუნებს, მეორე დღეს მოახტება ცხენს და გაეშურება საზღვრისაკენ. თუ ცხენი დაუბერდა, შეიძლება იმასაც შეუშხაპუნოს ეს წამალი და ისიც ძალ-ღონეზე მოიყვანოს.

მაშ იშვებდე და იხარებდე, მკითხველო, რამეთუ სიბერე და უძლურება სამუდამოდ განშორდეს ჭაბუკსა სხეულსა შენსა და არაოდეს იხილო იგი ..

## წვრილი ამბები

როგორც მკითხველებმაც უწყიან, ამას წინად ამერიკამ ასის წლის დღეობა იდღესასწაულა ვაშინგტონის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ამორჩევიდგან. ამ შემთხვევისათვის ბალიც გაჰმართეს, რომელშიაც სტუმრებს იწვევდა და იმპატიჟებდა განსაკუთრებული კომისია. მიპატიჟებულს ამას გარდა ორი თუმანი უნდა შეეტანა და მხოლოდ მაშინ ეღირსებოდა ამ საკვირველის, უმაგალითო ბალის ნახვას. ერთის სიტყვით, ბალზე ამერიკის ქვეყნის მარილმა მოიყარა თავი. ამერიკულ გაზეთთა უმეტესობა აქებს და ცამდე აჰყავს ეს ბალი, მხოლოდ თითო-ოროლა გაზეთია იმისთანა, რომელიც ჰკიცხავს ბალს და ამერიკელთა თავ-აშვებულობას, არა-საკადრისს საქციელს, უზრდელს ყოფა-ქცევას. როგორც ვიცით, ბალში საჭმელ-სასმელი მუქთი იყო. ბუფეტთან 5,000 შამპანურის ღვინის ბოთლი იდგა ყინულში და ვინც ერთს ჭიქა შამპანურს მოითხოვდა, იმას ორ ბოთლს აძლევდნენ იმ პირობით, რომ ჩქარა მოშორებოდა ბუფეტს, გზა დაეცალა და სხვებისათვის არ დაეშალა, სხვებს არ აჭყუდებოდა წინ. ცოტა ხანს შემდეგ მთელი უშველებელი დარბაზი ბუფეტისა აივსო ქალითა და კაცით, რომელთა შორის განსაკუთრებით ქალები იყვნენ თურმე ძვირფასის

---

დიდხანს ვერ დამალა აგრაფენას სიკვდილი ივანემ. ტერბინები, მართალია, ჯერ-ჯერობით არას იწერებოდნენ, რადგან სამის თვის ბავშვის შესანახი ფული უკვე გამოგზავნილი ჰქონდათ. სამი თვეც გავიდა. ივანემ ცოტა არ იყოს თავისუფლად ამოისუნთქა. იმან გადასწყვიტა, რომ ტერბინები მაგრე რიგად არც-კი შეიწუხებენ თავს კოტესათვის და თუ მაინცა და მაინც მოიკითხავენ ბავშვს, იგი აგრაფენას მაგიერობას გასწევს და აიყვანს ბავშვს მუქთად. „როგორც იქნება ვიცხოვრებთ, იმედია, მშივრები არ დავიხოცებითო". ამ აზრმა მთლად დაამშვიდა ივანე. უცებ ივანეს მოუვიდა ტერბინების წერილი. ისინი მუქარა-ლანძღვით იხსენიებდნენ ჩვენს ივანეს და იწერებოდნენ, ვითომ ივანემ იმიტომ დამალა ბებრის სიკვდილი, რომ ესარგებლნა კოტეს შესანახად გამოგზავნილ ფულებით. წერილის ბოლოს ეწერა: „მოწყალეო ხელმწიფევ! ამ წერილის მიღებისათანავე ბავშვი წარადგინეთ ჩვენს კანტორაში შემდეგის ადრესითაო"...

ივანეს თვალთ დაუბნელდა, ეღარ დაასრულა წერილის წაკითხვა. როგორ, იმისი ერთად-ერთი სიმდიდრე — სიამაყე, იმისი უანგარობა შეურაცხეს, შელახეს? მას აბრალებენ ობლის ფულის მითვისებას, აბრალებენ ქურდობას! ქურდს ეძახიან, მაშინ-როდესაც მუდამ ამ გვარს ქცევას უფრთხოდა. დიდი ხანია ცრემლი არ მოსვლია ივანეს და ეხლა-კი გულამოსკვნით სტირის! სტირის თავისი ბედს!.. სატირელი თავის შელახული სახელი გაუხდა. ერთად-ერთი საუნჯე, რომელსაც უფრთხილდებოდა, სათუთოდ ინახავდა, პატიოსანი და უანგარო სახელი იყო და აგერ ისიც შეშურდათ, ისიც გაუჩირქიანეს... არა, იგი ამ გვარ ცილის-წამებას ვერ აიტანს. იმათ უნდა შეიტყონ, რომ იგი პატიოსანი კაცია... თუმცა-კი ღარიბია, მაინც სინიდისი წმინდად აქვს დაცული. დეე, წაიყვანონ ბავშვი! სიყვარული და ალერსი მეტი ბარგია ღარიბთათვის. ივანემ აიღო კალამი და რიხიანის კილოთი მისწერა ტერბინებს პასუხი. იგი სწერდა, რომ არავითარი ფული არ მიმიღია თქვენგან და აგერ სამი თვეა ბავშვს ჩემის სიღარიბით ვინახავო. აღვასრულებდი თქვენს სიტყვას ბავშვის შესახებ, მაგრამ არც მოცალეობა და არც სამგზავროდ ფული მაქვს, რომ ბავშვი კანტორაში მოვიყვანო. ბოლოს სთხოვდა, დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ ვინმე ბავშვის წასაყვანადაო. გაათავა წერილი ივანემ, გადაიკითხა და მწარედ გადიხარხარა. რამდენისამე დღის შემდეგ ივანემ მიიღო ტერბინებიდამ პასუხი, რომელშიაც სწერდნენ, რომ ბავშვი ყოველისავე იმისის ნივთებით რკინის გზის ამა-და-ამ №-ის მატარებლის კონდუქტორს ჩააბარეთო. ნივთებით?

— ჩემის ძველ პერანგებისგან შეკერილი სამი პატარა პერანგი! მზრუნველებად ითვლებიან!!. ბუტბუტებდა გაბრაზებული ივანე და თან ბავშვის ნივთებს ბოღჩაში ალაგებდა. ბავშვი გაკვირვებით შესცქეროდა და ეკითხებოდა:

— ძია, საით მივემგზავრებით?

— გაიგებ, ჩემო კარგო! არა, ქურდი, ქურდი მიწოდეს. არა, ჩემო ბატონო, სხვისა არც არა ამიღია-რა და არც არა მინდა-რა... ყველაფერი რომ ჩააწყო ბოღჩაში, წამოიკიდა და გასწია რკინის გზის სადგურისაკენ. ბავშვი თავს-რეტ-დასხმული მისჩანჩალებდა გაჩქარებით მიმავალ ივანეს.

— ძია, ჰკივის, დავიგვიანეთ...

— ნუ გეშინიან, მივასწრობთ.

— ძია! მონასტერში მივდივართ, ამას წინადაც რომ ვიყავით? მაგრამ ტომარა რაღად გვინდა, განა ღამე დავრჩებით იქა?

მატარებელი უკვე მოსულიყო, როცა ჩვენი მგზავრები მივიდნენ სადგურზე

— სად არის ესა-და-ეს კონდუქტორიო? ჰკითხა ივანემ პირველსავე შეხვედრილ კონდუქტორს.

— მე ვარ! ბავშვის საქმეზედ მოხვედით? შედით ვაგონში და მეც ეხლავ მოვალ, უპასუხა კონდუქტორმა.

ივანე შევიდა ვაგონში, ბავშვის ბარგი დასდო ერთის მგზავრ ბებერ დედაკაცის გვერდით, დასვა იქვე ბავშვი და თითონაც გვერდზე მოუჯდა.

— ძია, შენ რატომ აღარ დაჯდები?

— მეც დავჯდები, ჯერ რა მეჩქარება! ბავშვზე თვალ ყური გეჭიროთ, დედაშვილობას, — სთხოვა ივანემ მგზავრს.

— მატარებელი საცაა წავა, მალე გადით ვაგონიდამ, თორემ... უთხრა ივანეს ახლად-შემოსულმა კონდუქტორმა.

ივანემ აკოცა ბავშვს და საჩქაროდ გამოვიდა ვაგონიდამ.

— ძიააა!!. მოესმა ივანეს ბავშვის ხმა. ამ ხმამ საშინლად აუძგერა გული. მხოლოდ ეხლა იგრძნო ივანემ, რომ მეტად ძვირფასი არსება მოაშორეს. იტაცა თავზე ხელი და გამოუდგა მიმავალს მატარებელს, მაგრამ გვიან-ღა იყო. კარგა ხანს ესმოდა ივანეს ბავშვის ტირილი და ხმა: ძია, რად დამტოვე, შინ, შინ წამიყვანე! აქ არ მინდა, ძიაა!..

თავ-მოგლეჯილი მისდევდა ივანე მატარებელს. ვინ იცის სადამდის ირბენდა, რომ გზის ყარაულს არ შეეყენებინა: ლიანდაგზე სირბილ-სიარული აკრძალულიაო.

### VIII

მეორე დღეს ბავშვი ჯერ კიდევ გონს არ მოსულიყო, რომ მიიყვანეს ანნა ტერბინთან. ბავშვმა იცნო ანნა, გაუხარდა, გამოიდარა და გახარებული გაექანა იმისკენ. ანნამ კოცნითაც არ აკოცა, არ მიუალერსა, მხოლოდ თავზე გადაუსო ხელი და იქვე მდგომ მოახლეს უთხრა: ბავშვების ოთახში წაიყვანეო. კოტე უკვე ნაცნობ ოთახში შეიყვანეს. იცნო კოტემ ოთახი და აღტაცებით წამოიძახა: ჩემი სახლი! ძია, ძია-ღა მაკლია!.. ასე თუ ისე, ბავშვი ნასიამოვნები იყო, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ხანგრძლივი არ იყო ეს სიამოვნება. იმავე დღეს კოტე წაიყვანეს ტერბინებისაგან ახლად დაარსებულ ობოლთა თავშესაფარში. ბავშვი შეიყვანეს კარგა მოზრდილ შენობაში, სადაც ყველა ოთახი ერთ-ფერი და ერთ-გვარი იყო, ბავშვების საწოლიც ერთ-გვარი და თვით ბავშვებიც ერთფერად ჩაცმული. იქვე დახვდა სამი ზედამხედველი შავებში შემოსილი დედაკაცი, რომელთაც სათითაოდ უთხრეს კოტეს: ჰკვიანად უნდა მოიქცე, ჩემო კარგო! გიჟობა არ ვარგა! უნდა ჰკვიანად მოიქცე... ყველა ეს პირველშივე ისე შეეზარა, ისე შეეზიზღა საცოდავს ბავშვს, რომ სულ დაეფანტა საკუთარს სახლზე აზრი და წარმოდგენა. ბავშვმა ვერ შეიმაგრა თავი და მოჰყვა მწარე ტირილს და თან გაჰკიოდა: შინ, ძიასთან, შინ წამიყვანეთ! რა გინდათ ჩემგან!.. ყმაწვილს ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ, მაგრამ იგი მხეცივით გარბოდა, ერიდებოდა ყველას, ეხეთქებოდა აქეთ-იქით და სულ ძია და სახლში წასვლა ელანდებოდა. ორი კვირა უიმედო წვალებაში იყო საცოდავი კოტე. ბოლოს დაემორჩილა ბედს და მოისვენა, მაგრამ ვაი ამ მოსვენებას... ორმა კვირამ მეტად გამოსცვალა ბავშვი. ელფერი მთლად დაჰკარგა, გაყვითლდა, ჩამოხმა... ბავშვი უცებ გახდა ავად და ავადმყოფობას მალე თანაც გადაჰყვა. უკანასკნელ წამამდე უბედური ბავშვი მაინცა არ ივიწყებდა სახლს, ძიას!.. ანნა ტერბინისას შეატყობინეს ბავშვის სიკვდილი.

— ძალიან კარგად მოსვლია! სთქვა ანნამ, კოტეს სიკვდილი რომ შეატყობინეს.

დასაფლავებაზე დასასწრებლად თავის მხრივ ანნამ გაჰგზავნა თავის შვილების აღმზრდელი ქალი და თავისი უფროსი შვილი. ამათ თანადასწრებით მიაბარეს საწყალი კოტე მიწას.

აღსრულდა შენი სურვილი, საწყალო ღვთის შვილო, ბოლოს მაინც არის იპოვნე შენი ნამდვილი ბინა!..

ი. კახელი

თვალ-მარგალიტით მორთულები. ყოველს კაცსა თუ ქალს თითო ან ოროლი ბოთლი შამპანური ეჭირა თურმე ხელში, თავ-მომტვრეული. ესენი სვამდნენ პირდაპირ ბოთლიდგან, რადგან ჭიქების შოვნისათვის არც დრო იყო და არც ალაგი, და დასანაყრებელი კუპატები და ხილეულობაც ხელშივე ეჭირათ. ასეთმა თავ-დაუჭერელმა სმამ პატარა ხანს უკან თავისი შედეგი იქონია. ჯერ ცოტა ჭაბუკნი დაითვრნენ და შემდეგ ამათს მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. ერთმა ლამაზად ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა წაავლო თურმე სალათით სავსე უშველებელს თეფშს ხელი, დაიდგა თავზე და დაიწყო ცეკვა. ვიღასაც შამპანური დაექცია იატაკზედ, ამ კაცს დაუცურდა ფეხი დანაქცევზედ, წაიბორძიკა, დაიტანა ერთი მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ქალი და სალათის თეფში ზედ თავზედ წამოასხურა. სალათა ლამაზად იყო გაკეთებული მმრითა და ზეთით, ქალს გაეკრა გაღეღილს გულსა და მხრებზედ და სრულიად წაუხდინა მშვენიერი ტანისამოსი. ერთი კაცი კიდევ ის იყო ერთს ლამაზს ქალს გაასცნეს. ყმაწვილმა კაცმა მოინდომა შამპანურის ბოთლის გახსნა იმითი, რომ მხარზედ დაარტყა ქალს. საბედნიეროდ, ბოთლს მხოლოდ თავი მოსტყდა, ქალი არ დასჭრა, მაგრამ აქაფებული ღვინო-კი თავიდამ ფეხებამდე გადაესხა ქალს და ერთიანად გასწუწა. საზოგადოებას თანდათან უფრო ეკიდებოდა ღვინო, ორჯელ-სამჯერ ჩხუბიც ასტყდა, მაგრამ ისევ ჩქარა დააშოშმანეს მოჩხუბარნი და დაამშვიდეს. დალეულნი მეტის-მეტად ჰსიამოვნებდნენ იმითი, რომ ჭურჭელს ამტვრევდნენ და ყველაფერს ფეხ-ქვეშ ჰქელავდნენ. როცა კარგა ხნის წვალების შემდეგ წრეს-გადასული სტუმრები ბუფეტიდგან საცეკვაო დარბაზში შერეკეს, მთელი დარბაზი ახირებულს სურათს წარმოადგენდა თურმე. იმის მნახველს ასე ეგონებოდა, რომ ამ ქვეყანას მტერი შემოჰსევია და გაუოხავრებია ყველაფერიო: იატაკზედ დამტვრეულ ჭურჭლის ნაჭუჭები ეყარა, ხელთათმანები, ყელსახვევები, ორგანსამგან ქუდიც ეგდო, ერთის სიტყვით, ბახუსის ღმერთის სადიდებელ ბრძოლის მოედანს წარმოადგენდა.

— ლონდონმა ვერ იქნა, ვერ გადაარჩინა თავი ვიღაც „ჯეკისაგან“, რომელიც უმოწყალოდ ჰკლეტავს ქალებს და ასო-ასო ანაკუწებს. ახირებული კაცია ეს „ჯეკი“: ჩაიხელებს სადმე რომელსამე უზნეო ქალს, გამოჰფათრავს მუცელს, ასო-ასო აჭრის და თავს ანებებს. შემდეგ იმის მებნით ილაჯ-გაწყვეტილს პოლიციასაც ნიშნს უგებს, აბა დამიჭირეთ რაღა, რატომ არ დამიჭერთ, თუ უნარი და შნო გაქვთ, თქვე დალოცვილი შვილებოვო. ლონდონის ერთი პოლიციის უფროსი იძულებული იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა ამ ჯეკის დაუჭერლობის გამო, მეორე დანიშნეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც იმას მოსდის საქმე დუშაშად. აგერ ამას წინად კიდევ მდინარე ტემზაში იპოვნეს ქალის ქვედა ნაწილი შეხვეული და გვამის დანარჩენი ნაჭრები უპოვნიათ თვით ლონდონში, ბატტერზეს პარკის ბუჩქთან. ამ მოკლულის პოვნამდე სამის დღით ადრე პოლიციას მოუვიდა ამბავი, რომ „ოპერაცია დაიწყებაო“. ახლა მეორე წერილიც მიუღიათ, რომელშიაც იწერება ჯეკი: „ვხედავ, რომ ადამიანის ნაჭრები გიპოვნიათ და აქამდე როგორ ვერ დამიჭირეთ, რა ღმერთი გიწყრებათ. მოძებნეთ კიდევ ნაწერები, ეხლა მიგნებთ სადმე“.

— ლონდონის ძველ-ძვულების მოყვარულს ბ-ნს კვარიჩს გაუმართავს ამას წინად გამოფენა იშვიათ ხელ-ნაწერთა. ამ ხელ-ნაწერთა შორის ყველაზე ძვირფასია თურმე 680 წლის სახარება, რომელსაც სახელად ეწოდება «ოქროს სახარება ჰენრიხ მე-VIII-სა». ეს ხელნაწერი 1521 წ. უბოძებია პაპის მეფისათვის. სახარება 25,000 მანათადა ჰფასობს თურმე.

— ინგლისში (ბერნილეს) თეატრი სულ ერთიანად გადაუბუგავს ცეცხლს.

# დეპეშა

10 ივნისი

პეტერბურგი. მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს წაბრძანდა ვირტემბერგს საიუბილეო დღესასწაულებზე დასასწრებლად.

დღეს დილით წავიდნენ საზღვარგარეთ საბერძნეთის მეფე და ჰერცოგი სპარტისა ამალითურთ. ბერლინიდამ მეფე და ჰერცოგი გზად გაივლიან ჰამბურგსა, ლონდონსა, პარიჟსა და კოპენჰაგენში, სადაც წაბრძანდება საბერძნეთის დედოფალიც. კოპენჰაგენიდამ საბერძნეთის მეფე-დედოფალი და ჰერცოგი სპარტისა წაბრძანდებიან ათინას. სადაც 6 ოქტომბერს ჰერცოგი ჯვარს დაიწერს.

ბელგრადი. ვილაც უცნობებმა დაამზადეს მოსაწოდებელი წერილი სასლავიანო ერთა მიმართ. წერილის დამწერნი მოუწოდებენ ერს აჯანყდნენ უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ. წერილი აღკრძალეს. გამოძიება სწარმოებს.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივნისი

| | შესრულდა. | გამყიდველნი. | მყიდველნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 67 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა . . . . . | 246 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97 62 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | 84¼ |

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

13 დღე სამშაბათი. წმ. ტრიფილესი. კათოლ. წმ. ლუცინასი. სომეხ. წმ. ნუნესი და მანიასი. მაჰმად. მე-26 რიცხვი თთვისა შამანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 26 დღისაა.

14 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარ-მეტყ. ელისესი და წმ. მეთოდისი. კათოლ. წმ. ელისეასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 27 დღისაა.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით.

ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

სასოფლო მეურნეობის საზოგადოების სადგურში, ქ. ტფილისში, ბარიათინსკის ქუჩაზე წიგნი:

## ვაზის მოშენება,

შედგენილი

ი. წინამძღვრიშვილისაგან.

ფასი 1 მანეთი.

ეს წიგნი სურათებით სავსეა და იყოფება ოთხ ნაწილად:

კარი პირველი

ა) ქვეყანა და იმაზედ საუბარი, ბ) საუბარი მიწის თვისებაზე, გ) შინაარსი და სინოყიერე მიწისა, დ) გარჩევა ყოველ გვარ მიწის თვისებისა, ე) საუბარი ჰაერზე, ვ) საუბარი მცენარეზე და იმის ორგანოებზე, ზ) მცენარის ორგანოები, ჱ) მცენარეთ ცხოვრება და იმათი შინაარსი, თ) მცენარის უჯრები, ი) ხლოროფილი, კ) საუბარი მცენარის ამომცენარებაზე.

კარი მეორე

ა) საუბარი სავენახე მიწის ამორჩევაზე, ბ) ვენახის პატივი, გ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე თესლით, დ) მოსაშენებელი ალაგი სკოლაში, ე) საუბარი ვაზის გაშენებაზე კვირტით, ჵ) საუბარი ვაზის გაშენებაზე რქით, ზ) საუბარი ვაზის გამრავლებაზე რქის დაწვენით, ჱ) საუბარი სავენახე ალაგის მოშენებაზე ძირიანის ვაზით, თ) საუბარი ვაზის მოვლაზე პირველს სამს წელიწადს, ი) საუბარი ვენახის დაკრეფაზე, კ) საუბარი ვენახის მორწყვაზე და გასხლვაზე, ლ) საუბარი ვენახის დაყენებაზე სხვა-და-სხვა რიგზედ, მ) საუბარი ვაზის გასხვლაზე, ნ) საუბარი ვაზის მყნობაზე, ჲ) საუბარი მიწის შემუშავებაზე სხვა-და-სხვა რიგად, ო) საუბარი ვენახის სამუშაო იარაღზე.

კარი მესამე

საუბარი ვაზის მოშენებაზე: ტფილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში, განჯის გუბერნიაში, ბაქოს გუბერნიაში, ყიზლარში, ყაზი-ყუმუხში და ყუბანში.

კარი მეოთხე

საუბარი ვაზის ავადმყოფობაზე (დამპლაზე, ტყირპზე, ღორწო-სიუხვეზე, ყვავილის დაცვივნაზე, სიყვითლეზე, ვაზის დაშარვაზე, ანტონის ცეცხლზე, კორძზე, კუზე ნაცარზე, ფილოქსერაზე და მილდიუ-ობზე) და იმის მორჩენაზე. (5—4)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

**ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ**

**въ образцахъ,**

**пер. И. Ф. Тхоржевскаго.**

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და ვასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |

# „საქართველოს კალენდრის“

რედაქციისაგან.

„საქართველოს კალენდრის“ რედაქცია უკვე შეუდგა 1890 წლის კალენდრის შედგენასა და საჭირო მასალის მომზადებას. კალენდრის სისრულისა და სავსებისათვის საჭიროა მრავალ გვარი საქართველოს შესახები ცნობა და მასალა, ბეჯითად და ზედ-მიწევნით გამოძიებული. ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ყოველს ქართველს, ვისაც-კი შეძლება აქვს თავის სამსახურისა და მდგომარე ობის გამო რომელიმე წყება და რიგი იმ ზედ-მიწევნილთა საკალენდარო ცნობათა და მასალათა შეიტყოს და მოიპოვოს, მოგვაწოდოს და ამით ჩვენც დაგვავალოს და ჩვენს საზოგადოებასაც, რომელსაც ასე ძალიან ეჭირვება ყოველისფრით სრული, სავსე და ვრცელი საკალენდარო წიგნი. თავის მხრით რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ ბეჯითად მოეკიდოს ამ რთულს საქმეს, აიცილოს თავიდამ ის ნაკლებულება, რომელიც პირველ ხანში ძნელად ასაცილებელი იყო, და სამერმისოდ უკეთესი კალენდარი შესძინოს ჩვენს საზოგადოებას.

—

ზემოხსენებული ცნობა და მასალა სასურველია მოუვიდეს რედაქციას 15 სექტემბრამდე.

—

რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარს სალიტერატურო ნაწერს და ცალკე გამოკვლევას კალენდრის სალიტერატურო განყოფილებაში დასაბეჭდად.

—

რედაქცია მიიღებს კალენდარში დასაბეჭდად ყოველ გვარ განცხადებას როგორც ქართულს, ისე რუსულსა და სხვა ევროპულს ენაზე შემდეგის პირობით: ერთი გვერდი წიგნის თავში ღირს 10 მან., ნახევარ გვერდი—5 მან. წიგნის ბოლოში: ერთი გვერდი—5 მან., ნახევარ გვერდი—3 მან., მეოთხედი—2 მან.

ვინც განცხადებას დაჰბეჭდავს კალენდარში, 1890 წლის კალენდარს უფასოდ მიიღებს. განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ ტფილისში: ვ. გუნიას, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიას, ფოთში—ნოდიას წიგნის მაღაზიას, ბათუმში—მ. ნათაძეს.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ. Дворянскій банкъ.* **Валеріану Гунія.** (10—2)


# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

**А. А.**



ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (რემონტს) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—25) ა. თუთაევი.


Доз. ценз. Тифлисъ 12-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.